



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

036060  
(თაშუზი)  
15-31  
№12 (321)  
(5770)  
2010

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

## מנורה

შპს 50 თეთრი

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

**1 ივნისს ისრაელის ყველა საცელთო და რადიო არხზე ქართველი ებრაელების სასახლო საქმეზე ტანკარაკობდნენ.**



ისრაელის ჰაბიჩა ბინაინი ნათანიაჟა ვილაოთიანთვაში, ხოთაინს ბაბიჩა მიხილანთვილს ბაით-ქანესათის ბახსნანთან დახაშვიჩაბით ბამოუბახანა, მალანი შაფანაბა მისაა ქანთვილ ებრაელობას.

როდესაც ისრაელის ამქენანთა მთავარი რაბინი იონა მეცგერი თითქმის იმეორებს აშშ კონგრესმენის - მაკკეინის სიტყვებს: „მე დღეს ქართველი ვარ“ და „ბეით მოშეს“ გახსნისას აცხადებს: „მე დღეს ქართველი ებრაელი ვარ“, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ებრაელობა სრულიად ახალ გრადციაში გვევლინება.

ნათან შარანსაი აი მიიჩნევს, რომ ბაით-ქანესათის სწორად ქალაქის ისეთ უბანში აშენება რომელშიც მას ნაქალაქად ებანებინან, დიდი მიცვანა.

ქართველი ებრაელობა ისრაელის აღმშენებლობის სამსახურში ჩადგა და ამას ყველა აღიარებს.

ბაით-ქანესათის აშენება და მასში 18 სეფართორის შებრანება, სოფლის აშენებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ტელი სიგაპარივით ქაბაა ის დრო, როცა თელ-ავივში ალანის ქანაზე მდგარ ქართველ ებრაელებს „მოხარ კონეს“ ეგანდნენ და გაგუარებთან აიგივებდნენ.

**იკითხეთ გაზეთი „მენორა“ ინტერნეტ-საიტზე [www.menora.ge](http://www.menora.ge)**

### ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარის რუბი რივლინის მიერ „ბეით მოშეს“ გახსნისას წარმოთქმული სიტყვა

პატივცემულო სახ(ო)ბაღ(ო)მბავ! მირილაშვილთა ოჯახის წევრებო, ძვირფასო სტუმრებო და მლოცველნო!

თალმუდი „მესიხათ მევილაში“ ამბობს: „ბაბილონის ბეით-ქნესეთებისა და მიდრაშების მომავალია, რაც დადგინდება ერეც ისრაელში“. ამრიგად, სწორედ ბეით-ქნესეთებისა და ბეით-მიდრაშების მომავალზე ფოკუსირებით ამირიჩია თალმუდმა გამოეხატა ამ ნათქვამში ჩამალული წინასწარჭვრეტა „კიბუც გალუითის“ იმედინი და ღრმა რწმენიანი მომავლისა. რატომ? რატომ ფოკუსირდება ისრაელში დაბრუნების პიკი სწორედ ბეით-ქნესეთისა და ბეით-მიდრაშების შენობებზე და არა მაგალითად, კერძო სახლების მშენებლობაზე, ან მინდვრებისა და პლანტაციების მოვლაზე? ამ კითხვის პასუხი ისაა, რომ დასაბამიდან მოყოლებული, ყოველთვის და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას, ბეით-ქნესეთები ყოველთვის იყო ებრაული კულტურისა და საერთოდ, ებრაული თემის უმაღლესი, ყველაზე ამომწურავი გამოხატულება. ბეით-ქნესეთი არაა მხოლოდ სამლოცველო, ღვთის სამსახურისათვის გაწეული ძალისხმევის ადგილია, იგი არის მკაფიო სიმბოლო მისწრაფებისა - შეიქმნას მჭკვარე ებრაული ცხოვრება. დასახლებაში ბეით-ქნესეთის შექმნას აქვს ერთადერთი მნიშვნელობა; ამ ადგილს აქვს ძლიერი, სიცოცხლით სავსე სახე, სადაც გაიმართება ფართო მოქმედებები და ეს იქნება მასზე დასმული ბეჭედი ახალი, ან განახლებული ცხოვრებისა.

პატივცემულნო! ეს სალოცავი, რომელიც ამ საღამოს ხელახლა გაიხსნა „ბეკოლ სასონ ვე ბეკოლ სიმხა“ არის მკაფიო, თავისთავადი და თითქმის ერთადერთი გამოხატულება იმ ბეით-ქნესეთის აღორძინებისა, რომელსაც არა მხოლოდ წლების განმავლობაში აკლდა მოვლა-პატრონობა, არამედ თითქმის დანგრევის ზღვარამდეც კი მივიდა და აი, ადგენენ ადამიანები, რომლებიც არ შეეგუენ ამ სიტუაციას. ცნობილია, რომ ჰალახა ნებას რთავს ბეით-ქნესეთის დანგრევას, მას

შემდეგ, რაც მის მაგიერ აშენდება ახალი. ამის მიუხედავად, ამ ადამიანებმა გააკეთეს დაუჯერებელი – რომ თითქმის ხელახლა დააარსეს ეს მშვენიერი შენობა. რეკონსტრუირებული ბეით-ქნესეთის გახსნა, „არონ ჰაკოდემში“ სეფერთორების შებრძანება – ეს თავისთავად მნიშვნელოვანი გზავნილია, გზავნილი, რომელიც აქედან, თელ-ავივის ჰიბიდან, ექოსავით გავრცელდება, ერეც ისრაელის სხვადასხვა კუთხეში.

ძვირფასო(ო) მირილაშვილის(ო) ოჯახის(ო) წევრებო(ო)! თქვენ გახასიათებთ მზერა, რომელიც ერთი წამითაც კი არ ვარდება სასწარმკვთილებას, იგი მუდმივად მომავლისკენაა მიმართული. თქვენ არ შეეპუეთ სინამდვილეს მიშვეულობისა და გაპარტახებისა, ებრაული სულიერი და კულტურული ატროფიისა და არაფერი არ დაიშურეთ, რათა ბოლომდე მიგვეყვანათ ჩანაფიქრი.

მამათქვენი – მოშე, რომელიც შარშან გარდაიცვალა, ხომ სწორედ ამ ბეით-ქნესეთში ლოცულობდა და თქვენ გადაწვევით მისი აღდგენით უკვდავდგეყოთ მამის სახელი.

თქვენ გამოავლინეთ განჭვრეტის ისეთივე მახვილი უნარი, როგორსაც ვხედავთ რაბი აკივასთან. იგი თამაშობდა, როცა გამოვიდა წმიდათა წმიდა ადგილიდან და მან იცოდა, ისევე როგორც იქ აღსრულდა შვების, განადგურების წინასწარმეტყველება, ასევე აღსრულდება შვების მოგვრისა და აღმშენებლობის წინასწარმეტყველება.

პატივცემულნო! დღეს, როცა მე აქ თქვენთან ერთად ვდგავარ და განვიციდი იმას, რაც ხდება, არ

შემიძლია არ გავიხსენო ის, რისი დამსწრეც და მომსწრეც ვიყავი ამ რამდენიმე კვირის წინ. ვგულისხმობ იერუსალიმის ძველ ებრაულ კვარტალში ბეით-ქნესეთ „ჰა-ხურბას“ გახსნას, რომელიც დამეუფლა მე, ისევე როგორც ყველა იქ დამსწრეს. ჰარ ჰა ბათისა და გოდების კედლის შემდეგ ხომ „ჰა-ხურბა“ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სიმბოლოს, ებრაელი ხალხის მნიშვნელოვან სულიერ ცენტრს და დღევანდელი დღე თითქმის ასრულებს სურათს. სწორედ აქ, თელ-ავივში. იერუსალიმის ამ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე უბანში და ბევრნი მათში ხედავენ ორი ერთმანეთისთვის უცხო ქალაქს, მე კი ვამბობ: ეს ორი ქალაქი ერთმანეთისგან გაუცხოებული კი არაა, არამედ ერთმანეთს ავსებენ, ორივეში იღვრება ებრაული სული, რომელიც პოულობს თავის გამოხატულებას ბეით-ქნესეთის აღორძინებაში. მოგეხსენებათ, ამ ბეით-ქნესეთის „გეულათ ისრაელი“ ერეცა და რამდენად ნიშანდობლივია, რომ დღეს იგი მოშე მირილაშვილის სახელს ატარებს.

მიხდა მთელი გულით დაელოცო ყველა, ვისაც კი ვწვლილი მიუძღვის ამ ადგილის აღორძინებაში და ვილოცო თქვენთან ერთად, რომ სამყაროს შემოქმედის თვალები მუდამ ღია იქნება ამ სახლის მიმართ.

რადამაცია მალლოზას მოახსენებს ისრაელის ქანსათის ფრაჰცია „მსისი“ თვამჯდომარას ბ.ნ აბრაამ მიხაელს რუბი რივლინის სიტყვის მოკვებაში დახმარებისათვის.

### სამ კონგრესის პრეზიდენტის მ.უ. — ბაბრიელ მირილაშვილის მიერ „ბეით მოშეს“ გახსნისას წარმოთქმული სიტყვა

პატივცემულო ჯამაათო!

წელიწადზე მეტი გავიდა მამაჩემის, დიდი მაცვებისა და ღვთისმოსიში კაცის, მოშე მირილაშვილის [მენუხათო ბე განყედენ!] გარდაცვალებიდან. მან თავისი არსებობით, თავისი ცხოვრების წესით დაამტკიცა, რომ ადამიანი მართლ სიამოვნებისთვის არ არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე. ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი გამჩენის სიყვარულითა და უდიდესი რწმენით იყო გამსჭვალული. და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მას არასოდეს არ ჰყვარებია ამა თუ იმ მიცეითა, თუ ქველმოქმედებით თავმოწონება, რაოდენ მნიშვნელოვანი და ფასეულიც არ უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ მოგეხსენებათ, ამქვეყნად არაფერი არ იმალება. სადაც არ უნდა მივლდეთ, ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მამის მიერ დატოვებული ნათელი კვალი, ისეთი ფარული მიცეები, ჩვენ რომ წარმოადგენაც არ შეგვეძლო – ჯამათისთვის, ლოცვებისთვის და, რაც მთავარია, ადამიანებისთვის, რომლებიც მას ასე ძალიან უყვარდა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

ჩვენ, შვილები, ქედს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე და ყოველგვარ ჩვენს საქციელს, ნამოქმედარს მამის თვალთ ვამოწმებთ, მისი საზომით ვზომავთ – მოეწონებოდა თუ არა ეს მამაჩვენს.

ყველა, ვინც იცნობდა მოშე მირილაშვილს, დამეთანხმება, თუ რა დიდბუნებოვანი უბრალოებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა ეს მართლაც გამჩენისგან კურთხეული და სხივოსილი პიროვნება. ამ საოცარ თავმდაბლობაზე ლაპარაკობს ყველა – დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი.

არ არსებობდა ცხოვრების არც ერთი სფერო, რასაც მისი გამჭვრიახი თვალი არ სწვდებოდა: კულტურა იქნებოდა ეს თუ განათლება, მეც-

ნიერება, თუ საერო და რელიგიური საჭიროებანი – ყველაფერი მისი ყოველდღიური საქმიანობის არეში იყო მოქცეული. სწორედ ამიტომაც შეეჭიდა დიდ და საშვილიშვილო საქმეს – შექმნა და სათავეში ჩაუდგა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს – და თუ დღეს რამეთი შეგვიძლია თავი მოვიწონოთ მისმა შვილებმა, – ეს უპირველესად, მამის დანატოვარი ადამიანური და კაცური სახელია. ნათქვამია – ყველაფერი წარმავალიაო, სახელის გარდა. ისიც უთქვამს დიდ ბრძენკაცს – სიკვდილის დღე სჯობსო დაბადების დღეს, რადგან გარდაცვალების შემდეგ ნათლად ჩანს ადამიანის მიერ ქმნილი კეთილი საქმეები.

ძვირფასო(ო) ჯამაათო(ო)!

ამ სალოცავს დღეიდან მოშე [მიშიკო] მირილაშვილის სახელი – „ბეით მოშე“ – ჰქვია. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მამაჩვენის სახელის უკვდავყოფა, მის მადლიან ნამოქმედართან, მის მიცვებთან ერთად, ამიერიდან ამ წმინდა კედლებსაც დაუკავშირდება. სალოცავი ხომ ჩვენი ხალხის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც ბარომეტრით ირეკლავს ერის ცხოვრების თითოეულ ნიუანსს, მისი სულიერი, თუ მატერიალური ყოფის შუქ-ჩრდილებს. თუ სალოცავი სავსეა მლოცველებით, თუ მისი კედლებიდან ყოველდღიურად აღველინება გამჩენის სადიდებელი, ეს იმის საწინდარია, რომ ამ ადამიანებს

საფრთხე არ ემუქრებათ. ისტორიულად – ჩვენი ხალხის გამოცდილებიდანაც ხომ ვიცით, რომ თვით უმძიმესი შეჭირვების დროსაც კი ჩვენს ხალხს ყოველთვის ჰქონდა საყრდენი – ლოცვა და სალოცავი. ერთ ცადიკს, ნაომარი და გაპარტახებული ქალაქი რომ უნახავს, გაკვირვებით აღმოხდომია: „ჰოი, საოცრება, ქალაქში შევედი და დაცლილი იყო, სალოცავში შევედი და – ხალხით იყო გადაჭვდილილი!“ მე დავამატებდი: ქალაქი, რომლის სალოცავიც სავსეა ხალხით, არასოდეს არ დაიცლება. ასეა ეს დღესაც და ასე იქნება მომავალშიც. ამ რწმენითა და იმედით შენდებოდა ეს კედლები, მშვენიერბოდა ეს სალოცავი.

ღმერთმა ნუ მოუშალოს მლოცველები ამ სალოცავს, ნურც კურთხევისა და თორის მადლი ჩვენს ძვირფას ჯამაათს.

მიიღე ჩვენი ლოცვა, მამავ ბატონო, და ვთხოვთ შენს წმინდა ნეშამას – იკამოქმელე შენი მიშფახისა და სანათესაოსთვის, შენი ხალხისთვის, ერისთვის, რომელიც ასე გიყვარდა და რომელიც მუდამ მოგიგონებს და დაელოცავს, როგორც შენ ლოცავდი შენი ყოველდღიური არსებობით, ცხოვრების წესით, შენი კეთილი და მადლიანი საქმეებით.

იდილოს შენმა სახელმა და წმინდა ნეშამამ, – გამჩენს ვთხოვთ და ვებეწვებით, – აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამენ!



# გამოსხალბა

## იცხაკ დავითი

იცხაკ დავითი არა მხოლოდ დიდებული მეცნიერი, ქართველ და საერთოდ მთელი კავკასიის ებრაელობის ისტორიის მკვლევარი, არამედ პოეტი. ფართო მკითხველი კი მას იცნობს როგორც მხოლოდ მეცნიერს და ეს მაშინ, როცა მისი პოეზია - ბევრ თვისობრივ სიხლეს მოიცავს. იგი არ არის ამდერებელი პოეტი, მისი პოეზიაში გამოხატულებას პოეზებს ინტელექტუალის სულიერი სამყარო. იცხაკ დავითი, როგორც მეცნიერი, მკვლევარი ჩვენი გაზუთის ხშირი სტუმარია. დღეს კი „მენორა“ მკითხველს სთავაზობს მისი პოეტური შემოქმედების მცირე ნაწილს.

– ახლა რას აკეთებს ქართველი ებრაელობის, მთელი

კავკასიის ებრაელობის ისტორიის დიდებული მკვლევარი იცხაკ დავითი? – ასეთი შეკითხვით მიმართა „მენორა“ იცხაკ დავითს.

– როგორც იცით, უკვე რამდენიმე წელიწადია აშშ კონგრესის ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. აქ დავასრულე ჩემი შრომა: ათტომეული „რევოლუციონარული ცივილიზაცია განვრცობადობაში“, თითოეული ტომი 700-700 გვერდს მოიცავს... შრომაში გამოცხადების ფენოლოგია მოიცავს თითოეული ერის რელიგიურ-სარწმუნოებრივ სფეროს, მათს წარმოდგენას უხედავს. პირველად შეიქმნა უნივერსალური პარადიგმა ებრაული ცივილიზაციის განვითარების მასშტაბით. ათტომეულის რამდენ-

იმე ტომი უკვე გამოცემულია.

ასევე გამოიცა „რევოლუციონალიზმი“. სამ ტომად ეს არის წიგნი ახალ პოლიტიკაზე-იდეოლოგია, რომელიც კრიტიკულად განიხილავს ყველა არსებულ იდეოლოგიას.

– ქართველი ებრაელი ბიზნესმენები, ქველმოქმედნი თუ იჩენენ ყურადღებას თქვენი შრომების გამოცემის საკითხთან დაკავშირებით?

– დაინტერესება უთუოდ არის საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მხრივ, მისივე ინიციატივით საუბარი შედგა ბ-ნ გაბრიელ მირილაშვილთან. ალბათ, კონკრეტული შედეგები იქნება.

ღმერთო!... დამოფარე!... შენდა გაშტერდები კონტური, სილუები და ცნობიერების, დაიძრა ნაკადი ცნობიერების ჩხრებაში ასე უძრავისად... გილამობიერდები!...

მომდევნა ვოკანაც... რაღაც უჩინარო სხივი ირეკლავდა თქვას და კავთულებს, და შემოდგენიერდენი ნეტარი თვალეი... მე შემოდგენიერდენი — ნათრეკს და ნათრეკებს,


გახსოვს ის შენობა?!... ქუჩა, ეკლესია?... (ფაუსტს) კითხულობდი და ორკესტრანტები სტილს მავი დაღატის წერა უღესია განდევს უღროუნი სარეკსთან ვანთებდით

მაშინ იწუებოდა... მაშინ იწუებოდა... განგებან ჩვენ ფიცი მივეცი... აღსდგება! ნახდა ჩაიცივლა და ღანდი წვებოდა წვეტილი ჰანგებით ღამობდა აგებან...

რომი... მუსსოლინი... ზაცცა და ისანია! სულთ უცოდველია ფანტანს დეი ტრევი ჩვენ კოლოსსეუმზე ზირი ვიბანია და ოქროსცურვილ არეანთან მიეტრევი

ღამს კატალიანს... ჰეუბა ტრანსე ამბავს გარდასულია დღეთა შენატრები! წეუბა იმერეთის ბინდი უჩეულო... (მოდი!... მომიკვირებე!)... მოდი, შენატრები!

ასეთი სნეტაკი და წმინდა ქალწულბერ ასეთი უნდა და ღამის მარდისს ბინმურ რესტორნებში მღამს ვითავალწუნებ-გველი მარმარილოს ფიქლებს კანდასის



რატომ მიაფები?... ეკლესს გამოჰეუება შენი გრძელი ჩრდილი მარჯნის მინანქრებით მისიარ ზირისანი... იწუება წეუება!... ვაგანის ბორბლებს ფიქრში მიაფდრდები.

ზალაცვა... ზალაცვა... ჩვენი ვენეცია ბელდს ეწურვიდა ბელის ფურტურისმი, ჰო, ვა რევიან... სარდლოს ურეცია ან იქნებ ნაბობარ ნათელს მიეტრევი!?

მიურბე სანლობდა... თეო-ვალმლილი წილს ებეუება რაღაც საწაღელი... კანადალწულს სისმრად თუ ვიძლიდი მუღამ როცა მარტოს ვნებით მასმებდი.

ახლაც სომ მასმებ თრთოლავით მოვლავრე მუხლებს კონტური ნახდა ამოთილილი, ნაქსოვ მარმარილოს ღოცვა იანურების... და ჩემს სარეცელზე წუთებს გამოთვლილი.

ერთი, ოცდაათი, სამოცია... ათასი სიტეო დავეუკუბოს დღეს და ნადაგს!- ვარდისფერ ნართებში იმედით მითავსებ ღანდთა მოვანების სავანეს მივატანთ.

მოჰქინდათ სულელები და ურუ ნაბიჯების ისმოდს წეუება სღამოს უოკულთას... კვამლი ასლიდათ და სვენებ-სვენებით ბრბო წინ მიიწუვდა... წაძი იოფლებს.

მსიურ ტროტუარებს განერთხენ ჩრდილები მოღან სულელები... ჰევიან მოსალმებან!... აღმები!... აღმები!... სდღაც იჩრდილებს ჩემი სხეული და ჩემი მოძალები...

მღაენ!... მღაენ!... მღაენ ბელუქსი!... ნინო გავანებდა ღამის ნოსტრადეგებს ჰორტრეტს შემანთოდა სხვა ფერთა სიღურევი და სიცილიური ზეცა შენსავია...

სახებან შენსას და მწუხარ გავაცემს ცრემლი იღვენებებს ჩვენი სასთუმლი... მღაენ ბელუქსი!... შენ ახლაც ოცნებობ და წარსულს ცოდვიანს ღოცვა გიღუმლებს



ქალაქი ცხელი და სისმარშიც ავსრულდით, გრანობებს ვაღაც წნებულთ როდი მინელებდა, ქართველი ვოკანის ტერფების ნასკულში-ხორცთან აფეთქების მწველი სურნელებს!

ჰო, ნეზანელიან!... შენ ვადმომფრევე წულაობა სანების... მე, სკანდინავიანს... ხელში ჩავაბარებ, ვხედავ, რომ ჯამლები ვხედავ, ნაგეუთში სავანებს უავით.

სავნები... სავნები... სამჯარო შეძლიდი! ჩემს სულს სღლია ეკლდა იმერეთის... გამოცხადება!... ღამბავს ნურული ცხრება კავასიან... მოსწანს იბერიან...

ჰო, ვა რევიან!... ბელბ მუკვამისვია... ჩვენ ვამინგრონური მეტრო გავცემის ტერფებს ჩაჭოლიათ მავ-მუქი არშია და შენი თვალბის კრთობს სოცენებო.

მომეუება თანება ქარების კვალდაკვალ, მომეუება წივილით, კივილით, ვაებით- (ტანო ამოღრტილო!) - სდა სარ? სდა სარ?... ასე უძრავისად რატომ მიაფები?...!



იქნებ ბატკიარს გამომხელ დედაქ-როს მთავრე ბნელში მიაფანება-და დაიწეება სდღაც სოფელში ან საოცარი ვარდაცვლება...

ალბერტ პაპის ილუსტრაციები





### ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა

რუბრიკას უძღვება  
თეიმურ იაკოვაშვილი



საქართველოსთვის ბოლო თვეების განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, ალბათ იყო ადგილობრივი არჩევნები შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით და ამკარაა, რომ ეს პრინციპში პირველი არჩევნები გახლდათ საქართველოში, რომელმაც ჩაიარა ყოველგვარი ექსცესების გარეშე. მე ვიტყვოდი, რომ ეს არის გამოძახილი შარშანდელი საპროტესტო აქციებისა, რომლებმაც არანაირი შედეგი არ გამოიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა. ზოგადად, პოლიტიკურ მექანიზმებთან მიმართებაში, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მასიურმა საპროტესტო აქციებმა განსხვავებით კომუნისტური, გამსახურდიას, შევარდნაძის, აბაშიძის და 2007 წლის პერიოდისა, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი მასიური აქციების გამო გადადგა, რომ საპროტესტო

# მნიშვნელოვანი გარდატეხა

აქციებმა, არ მოიტანეს არანაირი შედეგი. ეს იყო მის მიერ ჩატარებული პირველი არჩევნები, რომელიც უკვე დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა, სადაც იყო რეალური კონკურენცია კანდიდატებს შორის. ეს ბევრი რამის მანიშნებელია, პირველ რიგში კი იმისა, რომ ჩვენთან პოლიტიკური კულტურა გამოვიდა სამიტიზმის განწყობიდან და უკვე შეიძლება „მოსაწყენი“, თუმცა ცივილური ფორმები მიიღო, პოლიტიკური ინსტრუმენტებიც გახდა გაცილებით უფრო დემოკრატიული. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, როგორც ცნობილი ლოზუნგი ამბობს, თუმცა, უკვე გახდა ბევრად უფრო დემოკრატიული, ვიდრე ეს იყო აქამდე.

ამას რა თქმა უნდა, აუცილებლად ექნება გავლენა მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ სპექტრზე. პირველ რიგში, ჩვენ შევძლებთ რაღაც ძალების მარგინალიზაციის ნახვას – ახალი ძალების გამოჩენას. შესაძლებელია ახალი სახელების ხილვაც იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვნახეთ, რომ არსებულ ვითარებაში სხვანაირი ტიპის პოლიტიკოსები არიან საჭირო და სხვაგვარი ტიპის პოლიტიკაც.

ჩვენს რეგიონთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რაც ყირგიზეთში მოხდა. მე მიმაჩნია, რომ ყირგიზეთში მოხდარი ამბები არის პირდაპირი გამოძახილი იმისა, თუ რა მოხდა საქართველოში. ვხედავთ, რომ რუსეთს დიხაჯი, ძალუძს სიტუაციის არევა, თოფის სროლა, რეჟიმების ცვლილება, მაგრამ რუსეთი როგორც წესი, მერე ვეღარ აკონტროლებს ხოლმე სიტუაციას და აი, ყირგიზეთის მაგალითიც, სადაც უზბეკების გაქანებული ეთნიკური წმენდა მიდის. ეს არის გამოძახილი იმ ეთნიკური წმენდისა, რომელიც ჩატარდა ქართველებთან მიმართებაში ცხინვალის რეგიონში და მანამდე კი – აფხაზეთში. ჩვენ ვხედავთ, რომ

გარკვეულწილად ასეთი გამოკვეთილი ტენდენციაც კი მიეცა სამწუხაროდ, ამ ყველაფერს.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, დასავლეთმა რეალურად შეაფასოს ასეთი ქმედებები და ამავე დროს სათანადო შეფასებაც გაუკეთოს, რადგან ეს ის სიტუაცია არ არის, როდესაც შეიძლება წაუყრუო და ყველაფერს გადატვირთვის ან სტრატეგიული ურთიერთობების გაუმჯობესების ფორმა მისცე. ეს ყველაფერი იძენს საკმაოდ საშიშ ფორმას, არა მხოლოდ თითოეული ქვეყნისათვის, არამედ საერთოდ მსოფლიო წესრიგისათვის. რუსეთმა ასე თუ გააგრძელა, შეიძლება ძალიან ცუდად დავამთავროთ ყველამ ერთად რუსეთის, ასე ვთქვათ, თავნებობის ექსპერიმენტი.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პრეზიდენტის ვიზიტი საფრანგეთში, რომელსაც წმინდა სიმბოლური დატვირთვის გარდა, რომ აი, ეს იყო ომის მერე პირველი ვიზიტი, ჰქონდა საკმაოდ პრაქტიკული დატვირთვაც. კერძოდ კი ეს გახლდათ ეკონომიკური ფაქტორი. რა საკვირველია, შემთხვევით არ მომხდარა ის, რომ პრეზიდენტი საფრანგეთში ჩავიდა პუტინამდე რამდენიმე დღით ადრე, ამას ყველაფერს თავისი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ ამ ყველა პოლიტიკურ დატვირთვის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ის პოლიტიკური კონტაქტები, რომელიც დამყარდა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც შეუძლია მიიღოს საქართველომ ამ ურთიერთობიდან. ვფიქრობ, დასამადი არ არის, რომ ამ ეტაპზე ეკონომიკა ჩვენთვის ძალიან სერიოზული პრიორიტეტია და მიგვაჩნია, რომ ეს ის თემაა, რომელიც მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს. ეკონომიკაში აქტიურობა პირდაპირ ნიშნავს სამუშაო ადგილების გამრავლებას.

ამას გარდა, იმ ამკარად გამოკვეთილი პოლიტიკისა, რომელსაც უკვე დასავლეთი ატარებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის არალიბერაციასთან დაკავშირებით, საფრანგეთის წონა გაცილებით მეტია, ვიდრე თუნდაც სხვა ბევრი ქვეყნისა, რადგან საფრანგეთი ის ქვეყანაა, რომელსაც უზარმაზარი გავლენა აქვს, მაგალითად არაბულენოვან სახელმწიფოებზე და ამ თვალსაზრისით რა თქმა უნდა, არალიბერაციის პოლიტიკაში ფრანგული პოზიციები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

### აზრის ახალი ხომიბების წლიური ანგარიშ

ვაშინგტონში გაიმართა ამერიკის ებრაული კომიტეტის მორიგი წლიური კრება. კრებაზე განიხილეს თანამედროვე ებრაული სამყაროს აქტუალური, მნიშვნელოვანი საკითხები: ირანის ფაქტორი ისრაელის უშიშროებასთან მიმართებაში, მისი სწრაფვა ბირთვული იარაღისაკენ, „ჰამასის“, ჰეზბოლას პროვოკაციები, მათგან მომდინარე საშიშროება.

წლიურ კრებაზე მოწვეულნი გახლდნენ სახელმწიფოთა მეთაურები საგარეო უწყებების ხელმძღვანელები.

წლიური კრების მუშაობაში მონაწილეობდა „პილდელი-თბილისის“ ხელმძღვანელი მ(რ)ის კრინელი.

### საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის ხომიბების

14-17 ივლისს იერუსალიმში გაიმართა საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის 36-ე კონგრესი.

კონგრესის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა ერთი მნიშვნელოვანი თარიღი – შესრულდა 150 წელი სიონიზმის ფუძემდებლის – თეოდორ ჰერცლის დაბადებიდან.

წელს სიონისტური კონგრესი ეს. ე. წ. „ებრაული პარლამენტი“, განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარდა. როგორც ცნობილია, 1897 წელს შექმნილი სიონისტური ორგანიზაციის მოთავეობით ჩამოყალიბდა ებრაული სააგენტო – „სოხნუთი“ და სწორედ ეს ორგანიზაცია უწევდა მას ხელმძღვანელობას. დროის მოთხოვნებმა



განაპირობა ის, რომ „სოხნუთი“ დამოუკიდებელ ორგანიზაციად იქცა. ახლა იგი თავისი ძალიან მნიშვნელოვანი ბიუჯეტით, დაახლოებით 400 მილიონი დოლარით, მუშაობს. სიონისტური ორგანიზაცია კი თავისი ბიუჯეტით (14 მილიონი დოლარი). წელს კონგრესი დამოუკიდებლად შეიკრიბა და თუ აქამდე ორივე ორგანიზაციის მუშაობას ერთი პიროვნება წარმართავდა, წელს „სოხნუთის“ თავმჯდომარე ნათან შარანსკი კონგრესის სტუმარი გახლდათ, კონგრესის თავმჯდომარედ კი აბრამ დუვლევანი აირჩიეს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, 36-ე კონგრესი ერთობ დაძაბული გახლდათ. იერუსალიმის, პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხები კვლავ რჩება ისრაელის მოსახლეობის მღვდელვარების, მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების დაპირისპირების საგნად.

ეს ბუნებრივიცაა: იერუსალიმი, როგორც განუყოფელი, ებრაული სახელმწიფოს დედაქალაქი, უცვლელი თეზა არის ყოველი ებრაელისათვის, გარდა მემარცხენე პარტიებისა.

კონგრესმა აირჩია გამგეობის ახალი წევრები და წევრების მოადგილეები.

16 ივნისს გაიმართა თეოდორ ჰერცლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე სიტყვები წარმოთქმეს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერეცმა და იერუსალიმის მერმა ნირ ბარაკამ.

კონგრესის სტუმრები გახლდნენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი ბაბრიელ მირილანაშვილი და ვიცე-პრეზიდენტი იოსკა მაგისტრალი.

საერთაშორისო სიონისტური კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა მწერალი „მენორას“ რედაქტორი ბურამ ბატიანაშვილი.

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევი



ბ რ ა ვ ი

რა მისია ჰქონდა დაკისრებული ბილამს? რამბამი თვლის, რომ ამ მისიის დანიშნულება ისეთივე იყო, როგორც ესავეს ანგელოზისა იაკობთან მისი ბრძოლისას. გამჩენს სურდა, რომ ისრაელს კურთხევა მიეღო არაებრაელი წინასწარმეტყველის ბაგეთაგან. იბნ ეზრა კი თვლის, რომ არავითარი ძალა არ ჰქონდა არც მის წყევლას და არც მის კურთხევას.

ბილამი უბრალოდ ვარსკვლავთმრიცხველი იყო და იცოდა ადამიანთა „მაზალი“. როცა ხედავდა, რომ რომელიმე ადამიანს ცუდი მაზალი ჰქონდა, სწორედ მას სწვევდა. იბნ ეზრა თვლიდა, რომ ბილამი მატყუარა იყო და მას არ შეეძლო ებრაელების დაწვევლა. ამის გაკეთება ბილამს იმიტომაც არ შეეძლო, რომ ებრაელებს ჰქონდათ „მაზალ ტოვი“ (კარგი მაზალი), და საერთოდაც, ჩვენ ყველანი მაზალზე მადლა ვდგავართ. მაგრამ გამჩენმა იცოდა, რომ ებრაელები შესცოლავდნენ კერპის ბაალ პეორის მეშვეობით და არ სურდა, რომ სხვა ხალხებს ამის მიზეზად ბილამის წყევლა დაესახელებინათ,

რომ მისი წყველის შედეგად ჩნდება ჭირი (მაგეფა). სწორედ ამიტომ არ სურდა გამჩენს, რომ ბილამს დაეწვევლა ებრაელები. ბარბანელი თვლიდა, რომ თუ არაებრაელი წინასწარმეტყველი აკურთხებდა, დალოცავდა ებრაელებს, ეს სხვა ხალხებს დააშინებდა და ამით უფრო გააღვიძებოდა მათი დაპყრობა. მაგრამ ბალაკს ეგონა, რომ ბილამი ჯადოქარი იყო და გასამრჯელოს მიღების შემდეგ შეძლებდა ებრაელთა დაწვევლას. ბილამს კი ებრაელთა დაწვევლა ბალაკზე მეტად სურდა, რადგანაც სძულდა ისინი.

რატომ დაიწყო ლაპარაკი სახედარმა? რამბამის აზრით, ეს წინასწარმეტყველური ხილვა იყო, სფორნო კი სთვლის - ბილამის თეშუბაზე მოსასვლელად. რაბეინუ ბახეი სთვლის, რომ ბილამის დასამცირებლად იყო ეს საჭირო, რათა დაენახებინათ, რომ სახედარიც კი არ უჯერებს მას.

რატომ არ გაუშვა გამჩენმა ბილამი პირველად ებრაელთა დასაწვევლად, მეორედ კი - დართო ნება? რამბამის მიხედვით პირველად მას წასვლა კი არ აუკრძალა გამჩენმა, არამედ - დაწვევლა. ამასთან, არის ასეთი წესი, როცა ადამიანს სურს რაიმე გზით სიარული, მას კი არ უშლიან, პირიქით, მიყავთ ამ გზით. რამის მიხედვით, როცა გამჩენი ბილამს ეუბნება „თუ შენს დასაძახებლად, „ანუ შენს საკეთილდღეოდ“, მოვიდა ეს ხალხი, წადი“. აქედან ბილამი უნდა მიხედვრილიყო, რომ გამჩენის სურვილი იყო - ის არ წასულიყო. ამისათვის გაგზავნეს ანგელოზი ხმლით მის შესახვედრად. მაგრამ ბილამმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა. სწორედ ამის გამო გაუგზავნა მას გამჩენმა რისხვა - „აფაშემ“ (გამჩენის რისხვა). აქედან დაასკვნეს ბრძენებმა (კურთხეულია მათი ხსოვნა), რომ „ადამიანი მიყავთ იმ გზაზე, რომელზედაც მას სურს სიარული“. ამიტომ უთხრა გამჩენმა ბილამს თავიდან „არ წახვიდე“, ხოლო შემდეგ „წადი“ და მხოლოდ ამის შემდეგ „და განრისხდა გამჩენი“. აქედან უნდა მივხვდეთ, რომ გამჩენის თანხმობა ნიშნავს თანხმობას იმაზე, რომ ბილამს აქვს „არ-

ჩვენის თავისუფლება“ (ბხირათო ნაფშით). სულ ბილამი ოთხჯერ აკურთხებს ებრაელებს:

„აი (ჰინე), ხალხი, მარტობაში ცხოვრობს, და ხალხთა შორის არ ითვლება“ - იბნ ეზრას მიხედვით, ეს ხალხი ახლაც და მუდმივად მარტობაში იქნება. ყველა სხვა ხალხი შეერევა ერთმანეთს, შეიცვლიან კანონებს, და თუ ებრაელი ხალხი იქნება ერთადერთი თავისი, თორის, კანონების ერთგული, მაშინ ვერავინ აჯობებს მათ. რამბამი და აბარბანელი ხაზს უსვამენ, რომ ერები იცვლიან რელიგიებს და ერთადერთი ერი, რომლისათვისაც ეროვნება და რელიგია ერთია - ებრაელები არიან. სიტყვაში „ჰინე“ შედის ორი ასო (ებრაული დამწერლობის მიხედვით) - ჰეი და ნუნი, რომლებიც არ უწყვილდებიან არც ერთ ასოს (ჰეის გემატრია (რიცხვობრივი მნიშვნელობა) არის 5. თუ დავითვლით ცხრამდე, რიცხვი ხუთი არ უწყვილდება არც ერთ რიცხვს - მაგ. 1 უწყვილდება 9-ს, 2 - 8-ს და ა. შ. ასევეა ნუნი, რომლის გემატრია არის 50, ოთხმოც-რიცხვი წყვილდება, გარდა 50-ისა. მაგ. 1 და 99, 2 და 98 და ა. შ.).

მეორე კურთხევა არის დაპირება, რომ გამჩენი არ გადაუხვევს სიტყვიდან „მისცეს ისრაელის მიწა ებრაელებს“.

„რა მშვენიერია შენი კარვები იაკობ“ - (მატოეუ ოპალეხა იაკოე). რამბამის მიხედვით კარვები უდაბნოშია ებრაელთა საცხოვრებელი. ბრძენთა (კურთხეულია მათი ხსოვნა) მიხედვით, კარვებში შესასვლელები ერთმანეთის პირდაპირ არაა განთავსებული, რათა არ უთვალთვალონ ერთმანეთს ებრაელებმა. არიხალის მიხედვით ეს თორის კარვებია და „ემეკ დავარის“ მიხედვით ვსწავლობთ, რომ ეს არის საზოგადოებრივი და თორის ბრძენების შეკრებები.

მეოთხე კურთხევაში ბილამი ახერხებს მისცეს რჩევა მოაბელებს, თუ როგორ შეავიწროვონ ებრაელები. მასში ასევე არის წინასწარმეტყველება მაშიახის შესახებ.

ჩვენს იოსებ ბარდანაშვილის მუსიკის თანხმზე



შეფასება ამასთან დაკავშირებით. შანრი ლოლავშილი: - ძალიან გამიხარდა სოსო ბარდანაშვილის ეს კიდევ ერთი წარმატება. სოსოს საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობ და მინდა ვითხრა, რომ იგი არაჩვეულებრივი ადამიანი და ძალიან ნიჭიერი კომპოზიტორია. მინდა აღვნიშნო, რომ ნაწარმოები ძალიან პარმონიული გახლდათ. დღესაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, არაჩვეულებრივად იყო წარმოდგენილი. საერთოდ მინდა ვთქვა, რომ მისი შემოქმედება ძალზედ ხელმისაწვდომია მსმენელისთვის თავისი არსით. მე დიდ პატივს ვცემ სოსოს და მინდა ვუსურვო მას წარმატებები და კიდევ მრავალი პრემიერა. აქვე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა თქვენს რედაქტორზე ბ-ნ გურამ ბათიაშვილზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მამულიშვილია. დიდ პატივს ვცემ ამ პიროვნებას, რადგან მას თავისი მოღვაწეობით არცთუ ისე მცირე წვლილი აქვს შეტანილი თეატრის ეს იქნება თუ ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობაში, თავისი პიესებითა და რომანებით. ანს(ო)რ ერძ(ო)მად(ო)შილი: - ვთვლი, რომ ეს შესანიშნავი კონცერტი გახლდათ. უპირველეს ყოვლისა, სოსო ბარდანაშვილი არაჩვეულებრივი ადამიანი და კომპოზიტორია. მეამაყება, რომ იგი ჩემი მეგობარია, რომ იგი საქართველოში დაბადდა და გაიზარდა.

გაფორმებული. სოსოს ისრაელში გამგზავრების მერეც არ გაუწყვეტია კონტაქტი თავის მეგობრებთან და საქართველოსთან. რაც შეეხება მის მიერ წარმოდგენილ ნაწარმოებს, ეს ნამდვილად უღამაზესი, არაჩვეულებრივი კონცერტი იყო. სოსომ ეს ნაწარმოები მანდოლინისათვის და სიმფონიური ორკესტრისთვის დაწერა. გამოვიტყდებით, ძალიან დიდი ინტერესი მქონდა მომესმინა ეს ყველაფერი საკუთარი ყურით, რადგან ეს ჩემთვის გარკვეულწილად რაღაც ახალი იყო. ინტერესი აღფრთოვანებამ შეცვალა. საოცარი პარმონიულობა, უნიჭიერესი სოლისტი, მართლაც არაჩვეულებრივი, ენით აღუწერელი სიამოვნების განცდით მავსებდა. მსურდა კარგად აღმექვა თითოეული ბეგრა, თითოეული ნოტი. კონცერტზე, მყოფი საზოგადოება აღტაცებას და აღფრთოვანებას ვერ მალავდა. სოსო ბარდანაშვილის ნიჭიერების შესახებ არა მხოლოდ საქართველოსა და ისრაელში, არამედ მთელ მსოფლიოში იციან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 22 მაისს გაიმართა იოსებ ბარდანაშვილის ახალი მანდოლინისა და სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილი ნაწარმოების პრემიერა თბილისში. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „მენორამ“ გადაწვეტა გასაუბრებოდა ამ პრემიერაზე მყოფ რამდენიმე გამოჩენილ მოღვაწეს, რათა გავყო მათი

ჩვენ ერთობლივი გეგმები გვაქვს ისრაელში და მოხარული ვარ, რომ ამ უდიდეს პიროვნებასთან მომიწევს მუშაობა. მინდა წარმატებები ვუსურვო ამ უნიჭიერეს ადამიანს და დარწმუნებული ვარ იგი კიდევ მრავალჯერ გავგაზარებს და გავვაოცებს თავისი შემოქმედებით. ჩაიწერა ლილია ხომინაიძე.



ნანა და ნათელა  
 ზატარკაციშვილებს  
 ვულოცავთ შვილის  
 და შვილიშვილის  
 გაბედნიერებას.  
 სოფოს და სანდროს  
 ვუსურვებთ ხანგრძლივ,  
 წარმატებულ  
 სიცოცხლეს.

## გენიალური მიხოელის სსოვნას მიეკლვანა

22 ივნისს თბილისის ებრაულ სათემო სახლში გაიმართა ბრწყინვალე ებრაული მსახიობის მიხოელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოს იდეის ავტორი და ორგანიზატორი თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ვილი გრიგორიანი გახლდათ.

დარბაზი სცენას იყო მიმსგავსებული, ნაჩვენები იყო მიხოელის შემოქმედებითი ცხოვრების ფოტოკოლაჟი. თამარ ცქვიტინიძემ წაიკითხა მიხოელის უახლოესი მეგობრის, პოეტ პერეც მარკიშის ლექსები, რომელიც მან სწორედ თავის მეგობარს მიუძღვნა.

საღამოს შესახებ შეიტყო პერეც მარკიშის შვილმა დავით მარკიშმა, რომელიც თბილისში მეუღლესთან ერთად ყოველწლიურ პოეტურ ფესტივალზე იმყოფებოდა.



– ბ-ნო დავით, რა გახდა თბილისში თქვენი ჩამობრძანების მიზეზი და როგორ მოგეწონათ დღევანდელი საღამო?

– თბილისში ჩამოვედი ყოველწლიურ პოეტურ ფესტივალზე, რომელიც 20-დან 29 ივნისამდე ტარდება. სხვათა შორის დღევანდელი საღამოს შესახებ მეგობრებმა შემატყობინეს, გავიგე, რომ მამაჩემის – პერეც მარკიშის ლექსებს კითხულობდნენ, რამაც ძალიან გამახარა, გადავწყვიტე დავსწრებოდი ამ ღონისძიებას.

ძალიან სასიამოვნოა, რომ მამაჩემის ლექსები კვლავაც ჟღერს, როგორც იერუსალიმში, მოსკოვში, ასევე თბილისში.

ლექსი, რომელიც დღეს გაჟღერდა, ალბათ, ერთადერთი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც მიხოელის მკვლევლობასთანაა დაკავშირებული.

– რა გეგმები გაქვთ თბილისში ყოფნის დროს და კიდევ როდის გვესტუმრებით?

– სვალ ვიქნებით კიდევ ერთი დღე თბილისში და შემდეგ მთლიანად ფესტივალი, რომელშიც დაახლოებით 80 ადამიანი მონაწილეობს, გადაინაცვლებს ბათუმში. 29 ივნისს ფესტივალის დასრულებისთანავე, დაუბრუნდები ისრაელში.

სხვათა შორის, ხშირად ჩამოვდივარ, ვიყავი შარშანაც და ვიმედოვნებ, რომ კიდევ ბევრჯერ გვესტუმრებით.

ვოკალის სტუდიის მოსწავლეებმა, რომელთა პედაგოგიც სწორედ ვილი გრიგორიანია, შეასრულეს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე სიმღერები. ესენი იყვნენ: დავით კორინთელი, გვანცა მუხაძე, უთა მამალაშვილი, მარი მხტარჩანი და სოფია არუტიუნოვა.

აგრეთვე გავესაუბრეთ საღამოს ჩატარების იდეის ავტორს ვილი გრიგორიანს:

– ბატონო ვილი, როგორ გაჩნდა ასეთი საღამოს ჩატარების იდეა?

– საერთოდ, ეს წელიწადი მიხოელის საიუბილეო წელი გახლავთ და გადავწყვიტეთ ჩვენებურად აგველენინა ამ დიდებული ადამიანის მოღვაწეობა.

ნაწარმოები, რომელიც დღეს თქვენ მოისმინეთ, მიხოელის მეგობრის – მარკიშის გახლდათ. დღეს აქ აგრეთვე მისი შვილი დავით მარკიში იმყოფებოდა. ეს ლექსი ასე ვთქვათ, დავიწყებულიც კი იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ მათი კვლავ გაცოცხლება.

მიხოელს პირადად არ ვიცნობდი და არც მინახავს იგი. ყველაფერს მის შესახებ მშობლებისგან ვიგებდი. ვიცი, რომ იგი ძალზე განათლებული, უნიჭიერესი და თორის კარგი მცოდნე იყო.

ყველაფერმა ამან ჩემში დაბადა სურვილი, რომ მისი თუნდაც ასეთი მოკრძალებული გასსენება მომეწყო.

*მომზადდა ლილია ხომენძომ*

„Иерусалимский Журнал“-ის ფურცლებზე



ისრაელში გამომავალი სქელტანიანი რუსულენოვანი ჟურნალი „Иерусалимский Журнал“ ისრაელისა და მის მიღმა მცხოვრები ებრაელი მწერლების ლიტერატურულ ნაწარმოებებს ბეჭდავს.

ჟურნალს აფინანსებენ: ისრაელის კულტურის სამინისტრო, იერუსალიმის მერია, „ური ცვი გრუნბერგის სახლი“, ფონდი „რუსული სამყარო“, რუსეთის ებრაელთა კონგრესი.

„Иерусалимский Журнал“-ის 2009 წლის ერთ-ერთ ნომერში (№32) დაბეჭდილია გურამ ბათიაშვილის მოთხრობა „Синагога“, რომელიც 90-იან წლებში ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა და რუსულ ენაზე ქართული კლასიკური პროზის მთარგმნელმა ანაიდა ბესტაგაშვილმა თარგმნა.

ჟურნალს როგორც ჩანს, ახასიათებს ნაწარმოებებისათვის თემატური რუბრიკების შერჩევა. გურამ ბათიაშვილის ამ მოთხრობისათვის შეურჩევიათ რუბრიკა „Улица Баазова“.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ პოპულარულია დიდი ქართველი ებრაელი მოღვაწე – დავით ბააზოვი ებრაულ სამყაროში. ჟურნალი ასევე ბეჭდავს დავით ბააზოვის, გურამ ბათიაშვილისა და მოთხრობის მთარგმნელის – ანაიდა ბესტაგაშვილის ბიოგრაფიულ მონაცემებს.

დაკავშირებად და

გამომცემად:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
 თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30  
 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16  
 8-557

